№20 13 სექტემბერი, 2016წ.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

შპს „ოპტიმა საბურთალოს"-ს დირექტრის

ემზარ ოთხოზორიას

ახსნა-განმარტება საკადასტრო მონაცემებთან დაკავშირებით

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისში, მიხეილ შავიშვილის ქ. №2-ში მდებარე ტერიტორია წარმოადგენს **შპს „ოპტიმა საბურთალო"-ს** საკუთრებას, თუმცა 2015 წლის 16 სექტემბრამდე აღნიშნული ნაკვეთი ეკუთვნოდა **სს „მ2"-ს**.

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2015 წლის 27 აპრილის №5/23773 წერილით ნება დართო **სს „მ2"-ს** საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისას **სს „მ2"-ის** ტერიტორიის მომიჯნავე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრის პირზე ფანჯრის ღიობების გაჭრაზე. აღნიშნული წერილის მომზადებისას სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი გახლდათ 01.14.06.006.043, ხოლო საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი - 01.14.04.028.041.

ამჟამად, ვინაიდან მიმდინარეობს ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვა მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით, მოგახსენებთ, რომ სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.14.06.006.043 დაიყო ორ მიწის ნაკვეთად (საკადასტრო კოდები 01.14.06.006.050 და 01.14.06.006.051), შემდგომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.14.06.006.050 თავის მხრივ გაიყო ორ ნაწილად (საკადასტრო კოდები 01.14.06.006.057 და 01.14.06.006.058). დღეის მდგომარეობით საპროექტო

ტერიტორიის მომიჯნავე ნაკვეთს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.14.06.006.057. წერილს დანართის სახით ვურთავთ დაყოფამდე და დაყოფის მერე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ამონაწერებს, სადაც დაფიქსირებულია მიწის ნაკვეთების დაყოფამდე რეგისტრირებული წინა ნაკვეთის კოდები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ **სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს** მიერ 2015 წლის 27 აპრილის №5/23773 წერილის საფუძველზე გაცემული ნებართვა ძალაშია, ვინაიდან არ არსებობს ისეთი გარემოება, რაც ამ ნებართვის გაბათილებას გამოიწვევდა.

რაც შეეხება გეოლოგიური კვლევის დასკვნაში მითითებულ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდს 01.14.04.020.030, მოგახსენებთ რომ საპროექტო კვლევების ჩატარებისას სწორედ ამ კოდით იყო რეგისტრირებული აღნიშნული მიწის ნაკვეთი, რომელიც შემდგომ გაიმიჯნა ორ მიწის ნაკვეთად (საკადასტრო კოდები 01.14.04.028.040 და 01.14.04.028.041). ამის შემდგომ **ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურმა** სწორედ 01.14.04.028.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთისათვის შეითანხმა განაშენიანების რეგულირების გეგმა (ბრძანება №1951628, გაცემის თარიღი 15.06.2015წ.), რომლის შემდგომაც მიწის ნაკვეთების დაყოფა განხორციელდა გრგ-ს სრული დაცვით. ამ შემთხვევაშიც, წარმოდგიდგენთ დაყოფამდე და დაყოფის მერე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ამონაწერებს, სადაც დაფიქსირებულია მიწის ნაკვეთების დაყოფამდე რეგისტრირებული წინა ნაკვეთის კოდები.

პატივისცემით,

შპს „ოპტიმა საბურთალო"-ს დირექტორი

ემზარ ოთხოზორია

სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირების საინჟინრო ცენტრი
შპს პროგრესი
ს/კ 204970380

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
PROGRESI LTD
I/C 204970380

02.07.2015 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე, თსუ მაღლივი კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.14.04.028.030) ასაშენებელი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოსაზღვრე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი მდებარეობს ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე, ასაშენებელ შენობათა კომპლექსს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება შავიშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი შენობა, დაახლოებით 11-12 მ მანძილზე. დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება უნივერსიტეტის ქუჩა. სამხრეთის მხრიდან შენობათა კომპლექსს ესაზღვრება თსუ მაღლივი კორპუსი დაახლოებით 40მ-მდე მანძილზე, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან ვაჟა-ფშაველას IV კვარტლის კორპუსები დაახლოებით 23-24 მ მანძილზე.

საპროექტო შენობათა კომპლექსი წარმოდგენილია ოთხი ტიპიური ბლოკის (,,ბლოკი A", ,,ბლოკი B", ,,ბლოკი C", ,,ბლოკი D") და ორი პარკინგის ორსართულიანი შენობისაგან (,,პარკინგი-1" და ,,პარკინგი-2"). ტიპიური ბლოკი 20-სართულიანია სარდაფის გარეშე. იგი გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა მაქსიმალური ზომებით ღერძებში: 29.80 X 13.80 მ; სართულის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 3.30 მ-ს, ხოლო მაქსიმალური მალი კი 7.00 მ-ია.

შენობის კონსტრუქციული ტიპი არის კარკასულ-კავშირებიანი სისტემა, რომლის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონში.

სამშენებლო მოედანზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევები შესრულდა ტექნიკური დავალების შესაბამისად შპს ,,ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს (ინჟ. გეოლოგი: ა. პასიკაშვილი) მიერ 2014 წელს. კვლევების შედეგად სამშენებლო ტერიტორიაზე, გარდა ნიადაგისა და ნაყარი გრუნტებისა გამოიყოფა 2 (ორი) საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი: ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი, R_C=17 კგძ/სმ^2 (სგე-I) და გამოფიტული ძირითადი ქანი, R_C=30 კგძ/სმ^2 (სგე-II). დასაპროექტებელი შენობის დაფუძნება პროექტით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ფილის და საინექციო ხიმინჯების გამოყენებით სგე-I-ის ფარგლებში (კლდოვან ქანზე).

მთლიანობაში, გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში, ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს, როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

შპს ,,პროგრესი"
მთ. კონსტრუქტორი:

გიორგი ჩიკვაიძე
ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში
ევროკოდის ექსპერტ-კონსულტანტი